პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 65 (4575)

1972 წ. 2 აპრილი. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მთელი ოჯახი ემზადება







მშდ კომპლექსის ნორმატივების წარმატებით ჩაბარებას სპორტული დაოსტატებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა რომ აქვს, მამია ტულუშის ოჯახში კარგად იციან. 110 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს ექს-რეკორდსმენმა, სპორტის ოსტატმა მ. ტულუშმა და მისმა მეუღლემ, ზადროს ტყორცნაში საქართველოს რეკორდსმენმა, სპორტის ოსტატმა ლამარა ტულუშმა თავიანთი სპორტული გზაც სწორედ მშდ ნორმატივების ჩაბარებით დაიწყეს.

მართალია, მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ ტულუშებს პირველი ნაბიჯები ახლაც მშვენივრად ახსოვთ. ამიტომ მშდ-ს ახალი კომპლექსის გამოქვეყნებისთანავე მთელმა ოჯახმა ამ ნორმატივების ჩასაბარებლად სამზადისი დაიწყო: მშობლები ქალიშვილებთან ელეონორასთან და მარინესთან ერთად გაეცნენ დებულებას, მათი ასაკისთვის დაწესებულ ნორმატივებს და აი, სამსახურიდან და სკოლიდან თავისუფალ დროს ვარჯიშს შეუდგნენ.

ეს სურათები თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა მაშინ გადაიღო, როცა ტულუშების ოჯახი მორიგ ვარჯიშზე გამოვიდა. „კვარტეტი" ჯერ ერთად დარბოდა, მერე მამიამ სიგრძეზე ხტომაში წაივარჯიშა, შემდეგ ელეონორამ ბირთვის კვრაში სცადა ძალა. სწორედ ამ დროს ჯგუფს მწვრთნელი ვ. ლაბუნსკი შეუერთდა, მზარდი გოგონას შედეგით დაინტერესდა.

სულ მალე ტულუშები მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიის წინაშე წარსდგებიან.

რ. მაღრაძე

## ჩემპიონატი ოლიმპიური ფეროვნებით

კიევი, 31 მარტი. საქვეყნოდ ცნობილმა ტანმოვარჯიშეებმა, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ოქროს ლაურეატებმა თ. ლაზაკოვიჩმა და მ. ვორონინმა უკრაინის დედაქალაქის სპორტის სასახლეში დღეს საბჭოთა კავშირის 43-ე პირად-გუნდური ჩემპიონატის ალამი აღმართეს.

— ხუთი თვის შემდეგ ჩვენს ტანმოვარჯიშეებს მიუნჰენის სარბიელზე უაღრესად სერიოზული ოლიმპიური გამოცდები ელით, — თქვა შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა გ. ბაკლანოვმა. — კიევის ფიცარნაგი საბჭოთა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა მთავარი „შესამოწმებელი პუნქტი" იქნება.

ქვეყნის 150 საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალი და ვაჟი (აქ მხოლოდ თბილისელ ნ. დრონოვასა და ბათუმელ რ. სიხარულიძეს ვერ ვხედავთ) ისპარეზებს პროგრამით, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოვებული ოლიმპიურთან. გაზრდილია სამსაჯო მოთხოვნებიც. მაგალითად, ვაჟები ბჯენით ხტომას მხოლოდ ერთი ცდით შეასრულებენ, თანაც, გამორბენი 20 მეტრამდეა შეზღუდული.

ჩემპიონატის სტუმართა შორის არიან მწვრთნელი-მეთვალყურეები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან და რუმინეთიდან.

ტურნირის პირველ ეტაპზე სავალდებულო პროგრამით ქალები ასპარეზობდნენ პირად ჩათვლაში I-II ადგილები გაიყვეს „დინამოს" წარმომადგენლებმა — ვიტებსკელმა თ. ლაზაკოვიჩმა და გროზნოელმა ლ. ტურიშჩევამ. თითოეულმა მათგანმა 37,55 ქულა დააგროვა. III ადგილზეა მათი თანაკლუბელი, ვორონეჟელი ო. ქარჩშილინა — 37,35 ქულა. გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით დაწინაურდა „დინამოს" პირველი ნაკრები — 223,15 ქულა. II ადგილზე არიან ბურევესტნიკელები (216,2), ხოლო III — შეიარაღებული ძალების ტანმოვარჯიშე ქალები — 216,15.



## „სრული გაურკვევლობის" გამო

ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და რ. ფიშერის (აშშ) საჭადრაკო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის, რომელიც ბელგრადში უნდა გამართულიყო 22 ივნისიდან 18 ივლისამდე, შეუძლებელია ჩატარდეს უწინ შეთანხმებულ დროში. ეს ცნობა 31 მარტს გამოაქვეყნა იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტომ.

მატჩის პირველი ნახევრის ორგანიზატორებმა — იუგოსლავიის ჭადრაკის მესვეურებმა უარი განაცხადეს თავიანთ წინანდელ გეგმაზე შეხვედრის გამართვის „სრული გაურკვევლობის" გამო. შექმნილი ვითარების მიზეზია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მხრიდან სათანადო გარანტიის უქონლობა. ეს გარანტია, რომ მატჩის ორგანიზაციის თაობაზე დადებული ხელშეკრულება დაცული იქნება, ამსტერდამში 20 მარტს მოლაპარაკების თანახმად, 31 მარტისთვის უნდა მოსულიყო.

„ვინაიდან დიდოსტატმა ფიშერმა უარი თქვა ითამაშოს ბელგრადში და აგრეთვე ედმონდსონს (აშშ-ს ჭადრაკის ასოციაციის დირექტორი) თავისი ინტერესების დაცვის უფლება ჩამოართვა, — ნათქვამია მატჩის იუგოსლაველი ორგანიზატორების მიერ ფიდე-ს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში, — მიგვაჩნია, რომ უწინ მიღწეული შეთანხმება მატჩის ნამდვილად ჩატარების არავითარ გარანტიას არ იძლევა. ამ პირობებში კი ჩვენ ვერ გავწევთ რისკს მოვაწყოთ მატჩი შეთანხმებულ ვადებში".

## ახალი ამბები-72

● გულისტანი, 31 მარტი. უზბეკეთის ჭაბუკ ძალოსანთა პირველობაში 7 რეკორდი დამყარდა, აქედან, ორი საკავშირო და ხუთი — რესპუბლიკური. განსაკუთრებით ისახელა თავი მსუბუქი წონის ძალოსანმა, 17 წლის ნ. ბურნაშევმა (ბუხარა), რომელმაც ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 122,5 კგ. მას კარგი შედეგები ჰქონდა აჭიმვასა (115) და აკვრაშიც (152,5). ბურნაშევი ყველაზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატია ძალოსანთა წრის სსრ კავშირში.

● ბაქო, 31 მარტი. აქ მიმდინარეობს „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 14 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობს. 4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით ლიდერობს თბილისელი ო. თურქესტანიშვილი.

● სვერდლოვსკი, 31 მარტი. ადგილობრივმა „ავტომობილისტმა" დაამარცხა უფის „სალავატ იულაევი" (5:3) და საგაისოდ ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება გაინაღდა.

● ბაქო, 31 მარტი. კუბიდან საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით დაბრუნებულმა ადგილობრივმა ჩოგბურთელმა ე. ბირიუკოვამ აქ გამართულ საქალაქთაშორისო მატჩშიც მიაღწია წარმატებას. ეს 19 წლის სპორტსმენი დამაჯერებლად ჩაუდგა სათავეში ბაქოელთა კოლექტივს მინსკის, თბილისისა და დუშანბეს გუნდებთან ბრძოლაში — ბაქოელებმა ფინალში თბილისელებს სძლიეს.

● ლენინგრადი, 31 მარტი. სოფლის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის პირველი წრის შემდეგ ესტონელები დაწინაურდნენ. II ადგილზეა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი. საბოლოო ადგილებს გაარკვევს მეორე წრე, რომელიც ტაშკენტში გაიმართება.

● მადრიდი, 31 მარტი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზეები — მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. როდიონოვი და ტაშკენტელი ს. რუზიევი რაპირისტთა შეჯიბრების ფინალში გავიდნენ.

● მურმანსკი 1 აპრილი. „ტრუდის" მოთხილამურე ქალთა გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ლ. მუხაჩოვა (აპატიტი), ა. ოლიუნინა (გორკი), გ. კულაკოვა (იჟევსკი) და მსოფლიო ჩემპიონი ნ. ფიოდოროვა (ლენინგრადი), სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა 4×5 კილომეტრზე ესტაფეტაში — 1:14.37. უძლიერესთა უპირატესობას ისიც ადასტურებს, რომ ჩემპიონებმა 2 წუთითა და 21 წამით ჩამოიტოვეს ვერცხლის პრიზიორები — საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ბრინჯაოს დაეუფლა ესტონეთის „კალევი" — 1:17.11. დღეს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამის ბოლო სახეობა — 50 კილომეტრზე რბოლა. აქაც ოლიმპიელებმა ისახელეს თავი. ოქროს მედალი მოიპოვა სპორტის „თეთრი თამაშების" გმირმა, მოსკოველმა ვ. ვედენინმა (2:52.51), ვერცხლის მედალს დაეუფლა გამარჯვებულის თანაქალაქელი ვ. ვორონკოვი (იგი ვედენინს სულ 22 წამით ჩამორჩა), ბრინჯაოს — ასევე მოსკოველი ფ. სიმაშოვი.

## უჩვეულო დისტანციებზე

კრასნოვოდსკში გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა ტურნირი ბაიდარებითა და კანოეებით შეჯიბრებაში, რომლის პროგრამა ერთობ უჩვეულო იყო: ქალები 3000, ხოლო ვაჟები 6000 მეტრზე ასპარეზობდნენ. ეს ნაკარნახევი იყო იმით, რომ შეჯიბრების მიზანი მონაწილეთა საერთო ფიზიკური მომზადების შემოწმებაც გახლდათ.

ვაჟთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში ოლიმპიურ ჩემპიონს, სუმელ ა. შაპარენკოს საინტერესო ბრძოლა გაუმართა ფოთელმა ვ. კრატასიუკმა, რომელმაც პირველ დიდ წარმატებას შარშან სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მიაღწია. საბოლოოდ გამარჯვება უფრო გამოცდილ შაპარენკოს დარჩა — 27.21,5. ფოთელი სპორტსმენი მას მხოლოდ 4,7 წამით ჩამორჩა, რაც 6-კილომეტრიან დისტანციაზე მაინცდამაინც დიდი დრო როდია.

ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობა მსოფლიო ჩემპიონების — ბარნაულელი კ. კოსტენკოსა და ვლადივოსტოკელი ვ. კონონოვის დუეტმა მოიგო — 24.38,4.

კანოეებით შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგები მოიპოვეს ლვოველმა რ. ნაგირნიმ (29.26,4) და ვილნიუსელი ვ. ჩესიუნასისა და დუშანბელი ი. ლობანოვის დუეტმა — 26.49,7.

ქალთა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში თავიდანვე დაწინაურდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლ. პინაევა (ლენინგრადი), რომელმაც იოლად გაიმარჯვა კიდეც — 14.39,0. ორადგილიანებით ტურნირი კი ლ. იუანოვამ (მოსკოვი) და ლ. მასლიმ (ხარკოვი) მოიგეს — 14.09,2.

## საზღვარგარეთ

◆ ჟენევა, 1 აპრილი. მოსკოვის „ტორპედოს" ახალგაზრდულმა გუნდმა წარმატებით აიღო სტარტი ბელინცონაში (იტალიური შვეიცარია), სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტრადიციული, რიგით 32-ე საერთაშორისო შეჯიბრება დაიწყო. მოსკოველებმა დაამარცხეს ინგლისური კლუბი „სტოკ სიტი" — 2:0 (1:0). ამავე ქვეჯგუფში „ბარსელონამ" მოუგო „ბელინცონას" — 2:1. სხვა ქვეჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკ-ლევსკი" და „ლოზანა". მეტოქეებმა გოლი ვერ გაიტანეს — 0:0. ტურნირში სულ 8 კლუბი მონაწილეობს.

◆ კანი, 1 აპრილი. იუნიორ ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მორიგ მატჩში ბრაზილიის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 (1:0) სძლია სსრ კავშირის გუნდს.

როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... $19^{45}$

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზაღზრდის მომავალ სპეციალისტებთან

ვინც ამ ბოლო წლებში ბაკურიანში ყოფილა, ხშირად შეამჩნევდა უმეტესად პარკის ფერდობებზე, რესპუბლიკური კომიტეტის სამთოსათხილამურო ბაზის ყოფილი შენობის უკან მოვარჯიშე სპორტსმენებს. ისინი სლალომის სახელდახელო ტრასაზე მეცადინეობენ, სათხილამურო სპორტის საფუძვლებს ეუფლებიან, მსაჯობას სწავლობენ, როცა საჭიროა, რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირების ორგანიზატორებსაც ეხმარებიან.

ეს სპორტსმენები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი და დასწრებული სწავლების ფაკულტეტების სტუდენტები, მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეები არიან, რომლებიც სათხილამურო სპორტში სპეციალურ მომზადებას ბაკურიანში გადიან, თეორიულ ცოდნას პრაქტიკული ჩვევებით იმტკიცებენ.

ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტი ბაკურიანში შეხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელობის, ტურიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის გამგეს ლ. გიორგაძეს და სთხოვა ეამბნა ბაკურიანში სტუდენტთა საქმიანობაზე, მათი დაოსტატებისთვის გაწეულ მუშაობაზე...

— ამ სასწავლო წლიდან ინსტიტუტში შეიქმნა უმაღლესი სპორტული ოსტატობის, პედაგოგიური და სამასწავლებლო ფაკულტეტები, — თქვა ლ. გიორგაძემ. — პირველ ფაკულტეტზე, რომლის მიზანიც უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებაა, მხოლოდ სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები ჩაირიცხნენ. პედაგოგიური ფაკულტეტი მწვრთნელებსა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის პედაგოგებს ამზადებს, სამასწავლებლო კი საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებს.

სამივე ფაკულტეტი ექსპერიმენტულია და საბჭოთა კავშირში პირველი ღონისძიება გახლავთ. ახალი ფაკულტეტების გახსნამ მოითხოვა ახალი სასწავლო პროგრამების შექმნა საერთოდ და, განსაკუთრებით, სამთოსათხილამურო სპორტში.

ბაკურიანში რესპუბლიკური კომიტეტის სამთოსათხილამურო ბაზის ახალი შენობის მწყობრში ჩადგომის შემდეგ ძველი ნაგებობა მთლიანად ფიზკულტურის ინსტიტუტს გადაეცა, რამაც სპეციალიზაციის საქმე გააადვილა: აქ მოვაწყვეთ მეთოდური კაბინეტები, სადაც საკმარისად გვაქვს დიაგრამები. სქემები, კინოგრამები. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი სპორტული ფილმების ჩვენებას უკავია.

მომავალი სპეციალისტების უკეთ აღზრდაში ისიც გვეხმარება, რომ ჩვენს კათედრას საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრთა, თუ შეიძლება ითქვას, სამეცნიერო დახმარება მიენდო. ამასთან დაკავშირებით მომიჯნავე დისციპლინების წარმომადგენლებიდან მოვიწვიეთ ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, ბიომექანიკოსები და სპორტის თეორიული საფუძვლების ცნობილი სპეციალისტები — პროფესორები ნორაკიძე, ჩხაიძე, დოცენტები ჩახნაშვილი, ელაშვილი, დვალი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი არუცევი და სხვები, რომლებიც ოლიმპიადებისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას ადევნებენ თვალყურს, სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევენ მათ.

ამ საქმეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლებიც აქტიურად გვეხმარებიან, ყოველივე ეს კი კათედრის მუშაობის დონეს საგრძნობლად ამაღლებს.

კიდევ ერთი ფაქტი: კიბერნეტიკის ინსტიტუტის დახმარებით დამზადდა ტრამპლინიდან ხტომის დროს სპორტსმენის სიჩქარის საზომი აპარატურა, რომელმაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე გამართულ მეორე საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოცდა წარმატებით ჩააბარა. სწორედ ამ აპარატურის საშუალებით განვსაზღვრეთ, რომ ლიდერები საათში საშუალოდ 93-94 კილომეტრის სისწრაფით ქშვებოდნენ. მაგრამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ჯანგობეგოვი, ტოროშელიძე და სხვები მიღწეულს როდი სჯერდებიან: ამუშავებენ „მფრინავი მოთხილამურის“ მიერ შესრულებული ნახტომის სიგრძის ავტომატურ საზომ ხელსაწყოს.

## „ლელო“ ინტერვიუ

ახლა ისევ სტუდენტთა სწავლების ძირითად პროცესებს დავუბრუნდეთ. რათა კათედრაზე პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახეობის სწავლებისთვის ერთნაირი პირობები ყოფილიყო, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ერთიანი მდგომარეობის მეთოდური მეცადინეობები შემოვიღეთ.

სპეციალიზაციის სტუდენტთა საქმიანობაში დიდ როლს თამაშობს საერთო კრებები, რომლებზეც ყველა საჭირბოროტო საკითხი იხილება. ამან დისციპლინაც საგრძნობლად განამტკიცა. სტუდენტებს გადაცემულის ათვისების გარდა მეცადინეობების პრაქტიკულად ჩატარებაც ევალებათ, ეწყობა გაკვეთილების, სასწავლო ფილმების განხილვა-გაანალიზება. დიდ ადგილს ვუთმობთ სამსაჯო პრაქტიკას, ვინაიდან შეჯიბრებათა მსაჯობა საუკეთესო სკოლაა. აქ სტუდენტი ბევრ რამეს სწავლობს.

**● რამდენი კაცი გადის სპეციალიზაციას ყოველ სეზონში ბაკურიანში?**

— სპეციალიზაციის სტუდენტები აქ ორ თვეს რჩებიან, სხვებისთვის კი ეს ვადა განახევრებულია. ასე რომ, ყოველწლიურად 500-ზე მეტ სტუდენტს ვემსახურებით.

**● როგორ გაქვთ სპორტინვენტარის საქმე?**

— ინვენტარი და ტანსაცმელი ჩართლაც ბევრია საჭირო, მაგრამ მსმენელები ჯერჯერობით ძირითადად უზრუნველყოფილი არიან. თანდათან მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდება. ოღონდ ესაა, რომ არსებული ბაზა ვერ გვაკმაყოფილებს — გვჭირდება საელექციო აუდიტორიები, კარგი საექიმო კაბინეტი. ერთი სიტყვით, ბაზა, რომელიც ფაქტიურად ფიზკულტურის ინსტიტუტის ერთ-ერთი კორპუსია, ყოველმხრივ უკეთ უნდა მოეწყოს. მართალია, უკვე დამონტაჟდა და სტუდენტებს საექსპლოატაციოდ გადაეცათ 240-მეტრიანი საბაგირო გზა, საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ დროებითი სამოსწავლო ტრამპლინი, მაგრამ რაც გაკეთდა, არ კმარა.

---

სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●

# მთავარი მატჩი წინაა



კაუნასი, 1 აპრილი. ცსკა-ს და ლენინგრადის „სპარტაკის“ ბრძოლა უმაღლესი საკალათბურთო ტიტულისთვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ველოსიპედისტების ენით რომ ვთქვათ, არმიელებმა საფინიშო ვირაჟზე გაუსწრეს მეტოქეს და ახლა ეულად მიექანებიან საკონტროლო ხაზისკენ, რომლის იქით მათ ჩემპიონის მედლები ელოდებათ. მაგრამ იმავე ველოსპორტის კანონებით ნევისპირელები „თვალში უსხედან“ დაწინაურებულებს და ადვილი შესაძლებელია კიდევ შეცვალონ მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ხუთთვიანი მარათონული ბრძოლის მთავარი მატჩი წინაა. და როგორც შარშან, ჩემპიონის საკითხს ამჯერადაც ალბათ ლიდერთა ურთიერთშეხვედრა გადაწყვეტს.

გუშინ კი ადგილობრივ სპორტდარბაზში სენსაცია მოხდა. „ჟალგირისმა“, რომელიც ბოლო მატჩებში ერთობ სუსტად თამაშობს, კუდი მოიქნია და დაამარცხა მრავალი თვის ერთპიროვნული ლიდერი — ლენინგრადის „სპარტაკი“. ახლა ნევისპირელები ქულით დაშორდნენ ლიდერს, თუმცა ოქროს მედლებისთვის ბრძოლის შანსებს, როგორც აღვნიშნეთ, მაინც ინარჩუნებენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს როდია მთავარი. „სპარტაკის“ წაგება, რასაც შეგნებულად ვუწოდეთ სენსაცია, მთელი რიგი ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. ამ მიზეზების დანახვა სულ ადვილია, თუ გულდასმით გადავხედავთ სატურნირო ცხრილს.

ლენინგრადელებს საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ „მიღებული ბურთების“ ჯამში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდს მოგვარებული აქვს დაცვის საკითხი. მაგრამ კალათბურთში საიმედო დაცვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ წარმატებას თავდასხმაში. რა თქმა უნდა, უკეთესია, როცა დაცვაც და თავდასხმაც თანაბრად ეფექტურია. მაგრამ კალათბურთში ხშირად სწორედ თავდასხმის ხარჯზე აღწევენ წარმატებას: ჩააგდე შენს მეტოქეზე მეტი ბურთი კალათში და გამარჯვებაც შენია. აი, ლენინგრადელთა თავდასხმა კი ამ ჩემპიონატში აშკარად მოიკოჭლებს. „გატანილი ბურთების“ ჯამით „სპარტაკმა“ მხოლოდ სამ გუნდს გაუსწრო, მათ შორის, ორ მთავარ აუტსაიდერს. ნევისპირელები ყოველ მატჩში საშუალოდ 69 ქულას აგროვებენ იმ დროს, როცა ცსკა-ს ანალოგიური მაჩვენებელი 85 ქულას შეადგენს.

„სპარტაკთან“ გამარჯვებამ (67:59) ერთიორად გაზარდა „ჟალგირისის“ აქციები III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში. ლიტველი კალათბურთელები შინ, როგორც ჩანს, მძაფრ ბრძოლას გაუმართავენ ყველა მეტოქეს. ასე რომ, ეს გამარჯვება კაუნასელთა ხელსაყრელი პოზიციიდან მიღებული პირველი უპირატესობაა.

ცსკა-მ 29 ქულით მოუგო მოსკოვის „დინამოს“ (96:67) და სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა იგი: ახლა „დინამო“ თავისი 7 ქულით აუტსაიდერთა უშუალო მეზობელია, ორქულიანი რეზერვი მას მშვიდი ცხოვრების უფლებას აძლევს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. მაგრამ თეორიულად დასაშვებია, რომ თბილისის „ბურევესტნიკმა“ და მოსკოვის „დინამომ“ ადგილები გაცვალონ. ამისთვის „ბურევესტნიკმა“ სულ ცოტა 3 ქულა უნდა აიღოს, 3 აუცილებელი ქულა დარჩენილ შვიდ მატჩში. თუმცა, ეს უფრო მეტად სურვილია. „ბურევესტნიკმა“ გუშინ ისევ წააგო (ამჯერად „კალევთან“ — 60:78, პირველი ტაიმი — 24:35) და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა... უკან.

კიევის „სტროიტელმა“ როგორც იქნა შეაჩერა თანაქალაქელ არმიელთა წინსვლა (შეხვედრის ანგარიშია 69:64) და III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი განიმტკიცა.

ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვიან თბილისის დინამოელებიც, რომლებმაც ვილნიუსის „სტატიბას“ სძლიეს — 81:75 (43:44).

**ნ. ბუბუშვილი.**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 20 | 19 | 1 | 1703—1382 | 19 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 20 | 18 | 2 | 1397—1243 | 18 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 20 | 10 | 10 | 1425—1392 | 10 |
| „დინამო“ (თბილისი) | 20 | 10 | 10 | 1527—1568 | 10 |
| ასკ (კიევი) | 20 | 9 | 11 | 1346—1454 | 9 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 20 | 9 | 11 | 1448—1485 | 9 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 20 | 9 | 11 | 1492—1474 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 7 | 13 | 1450—1483 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 20 | 5 | 15 | 1343—1446 | 5 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 20 | 4 | 16 | 1383—1597 | 4 |

---

◆ **მადრიდი,** 1 აპრილი. იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი მედალი (ვერცხლისა) მოიპოვა რაპირისტმა ვ. როდიონოვმა (მოსკოვის ოლქი). უძლიერესი იყო ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი, 20 წლის ა. გოდელი. თავდაპირველად გოდელი და ტაშკენტელი ს. რუზიევი ლიდერობდნენ, რომელთაც 8-3 მოგება ჰქონდათ. მერე გოდელს როდიონოვმა სძლია და ლიდერობა უკვე სამმა კაცმა იგდო ხელთ. შემდეგ მათ შეუერთდა ფრანგი ფ. პეტრუშკა, რომელმაც ზედიზედ ორი შეხვედრა მოუგო როდიონოვს. განსაკუთრებით მძაფრი გამოდგა გოდელისა და რუზიევის გადამწყვეტი „დუელი“. გაიმარჯვა პოლონელმა — 4:3. ბრინჯაო 17 წლის პეტრუშკას ხვდა. რუზიევი IV ადგილზეა. სამივე საბჭოთა რაპირისტი ქალიშვილი (ყაზანელი ვ. ნიკონოვა, მოსკოველი ვ. ბუროჩკინა და რიგელი ზ. ფილატოვა) ფინალურ ექვსეულში გავიდა.

**როცა**
**გაზეთი**
**[illegible]**
**წელი**
**იყო... 1945**

◆ **ტაშკენტი** 1 აპრილი. სსრ კავშირის სოფლის 15 უძლიერესმა მოჭადრაკე ქალმა მოიყარა თავი ტაშკენტის მახლობლად მდებარე კოლმეურნეობა „პოლიტოტდელში“, სადაც 12 დღეს იბრძოლებენ ჩემპიონის ოქროს მედლისთვის. მონაწილეთა შორის არიან ოსტატები — სსრ კავშირის ექსჩემპიონები ლ. აგაფონოვა, კ. ლაზარენკო (ორივე — რსფსრ, „უროჟაი“), სოფლის სპორტსმენთა 1970 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ლ. სინიჩკინა (ლატვია, „ვარპა“) და სხვ.

---

# აქტივის კრებაზე

გაიმართა ახალქალაქის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომლის მუშაობაში პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აქტივმა შეაჯამა რაიონში შარშან გაწეული შრომის შედეგები, დასახა შემდგომი წინსვლის ამოცანები.

დასასრულ რაიონის საუკეთესო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ მუშაკებს, საწარმო-დაწესებულებების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში, ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის სიგელები გადაეცათ.

პარტიის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგეს მ. მოსიკიანმა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს კ. ოვანოღლიანს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქების სიგელი გადასცა, და საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭება მიულოცა.

**ბ. ზედგინიძე,**
საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი.

**მკითხველი**
**გვეკითხება,**
**მოგვითხრობს,**
**აზრს გვიზიარებს**

● ●

## შემდგომი წინსვლის ამოცანები

## სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად

## ჭადრაკი... მუსიკის თანხლებით

● ●

380008
თბილისი-8
ლენინის ქ. N 14
გაზეთ „ლელოს“
რედაქციას.

## სროლით უპირატესობით

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ონის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშსა და ტყვიის სროლაში.

სოფელ სორის ფიზკულტურის კოლექტივის წევრებმა საერთო გუნდური წარმატება მოიპოვეს: სამივე სახეობაში I ადგილები დაიკავეს. ჭადრაკში ჩემპიონი გახდა საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის მონაწილე, ფერმის მწველავი რუსუდან კერვალიშვილი.

შაშში პირველობა არავის დაუთმო რუსუდანის თანასოფლელმა ქეთევან ჩილაიძემ.

ტყვიის სროლაში ზეინაბ კერვალიშვილმა 100 შესაძლებლიდან 85 ქულით პირველობა დაისაკუთრა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზეა ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს გუნდი, III — ქალაქის პროფკავშირული ორგანიზაციების ნაკრები.

**ლ. ხერიშვილი.**

ონი.

# როდემდე გაგრძელდება?

ჭიათურაში ჭადრაკს ბევრი ტრფიალი ჰყავს და ალბათ არავის გაუკვირდება, რომ აქ ხშირად ტარდება სხვადასხვა ტურნირი. დღეს ზოგიერთი ამ შეჯიბრების შესახებ გიამბობთ.

„მარგანტრესტის“ ფიზკულტურის კოლექტივების პირველობაში 10 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მაღაროთა სამმართველოს გუნდმა (თ. ბრეგაძე, პ. ივანოვი, ვ. სხილაძე, მერი გამყრელიძე). „განთიადის“ საქალაქო საბჭომ ქალთა და ვაჟთა პირველობები გამართა. ქალთა ტურნირი 8 მარტს მიეძღვნა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ინჟინერმა ელენე ზაქარიაძემ (ლენინის სახელობის ნაღარო). ვაჟთა პირველობაში გაიმარჯვა ინჟინერმა ზ. ცერცვაძემ.

ყველა ეს ტურნირი ძნელ პირობებში ჩატარდა: ხან ერთ მაღაროში თამაშობდნენ, ხან მეორეში, ზოგჯერ იგვიანებდნენ კიდეც. ქალთა ჩემპიონატი „განთიადის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ზ. ჩხეიძის კაბინეტში ჩატარდა, ვაჟები ქალაქის კულტსისტემის ხელმძღვანელობამ შეიკედლა. აქ ისინი მუსიკის თანხლებით თამაშობდნენ!

1957 წლამდე ჭიათურაში იყო საჭადრაკო კლუბი, იყვნენ ძლიერი მოჭადრაკეებიც, რომლებიც საკავშირო პირბიელზეც გამოდიოდნენ. ახლა, როცა მეშახტეთა ქალაქი გაიზარდა, ახალი ნაგებობებითა და სპორტული კომპლექსით დამშვენდა, მოჭადრაკეთათვის ერთი ოთახი ვერ გამოიძებნა. თითქოს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია: არავინ გვაქცევს ყურადღებას.

ნეტავ როდემდე გაგრძელდება ასე?

**ვ. სხილაძე.**

ჭიათურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... კლარკის თავს ზემოთ გრძელი, შავი ხელი გამოჩნდა და სწორედ მაშინ წაილო ბურთი, როცა იგი კალათში უნდა ჩაშვებულიყო.



# ყურადღება, მოედანზეა ბილ რასელი!

პირთამდე სავსე „მედისონ სკვერ გარდენი“ ფუტკრის სკასავით ზუზუნებს. მოედანზე ტარდება ეროვნული ჩემპიონატის ფინალური მატჩი პროფესიონალ კალათბურთელთა შორის. მწვავე, დაძაბული თამაში ამავე დროს სანახაობრივად უაღრესად მიმზიდველი და ამაღელვებელი მომენტებით აღსავსეა. ეს თამაში მოიცავს ყველაფერს, რითაც მდიდარია კალათბურთი — დახვეწილ დრიბლინგს, ზუსტად ტყორცნას, ელვისებურ გარღვევას, ფარისთვის ბრძოლას. არც გასაკვირია: მოედანზე ხომ პროფესიონალთა ორი საუკეთესო გუნდია. მაშ ასე, ერთმანეთს ხვდებიან „ბოსტონ სელტიკსი“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“!

ელვასავით სწრაფი არჩი კლარკი მეტოქეს ბურთსართმევს და ბოსტონელთა ფარისკენ მიქრის. ხუთი ნაბიჯით უკან დგას ბილ რასელი — „ბოსტონ სელტიკსის“ მოთამაშე-მწვრთნელი. კლარკის წინ გზა თავისუფალია. წამიც, და ბურთი მეტოქის კალათში ჩაეშვება. მაგრამ, დაიცათ: ანგარიში არ იცვლება — კლარკის თავს ზემოთ გრძელი, შავი ხელი გამოჩნდა და სწორედ მაშინ წაილო ბურთი, როცა კალათში უნდა ჩაშვებულიყო. ეს რასელი აფრინდა ჰაერში და ხიფათი მოიგერია. მან ფარქვეშ ხელთ იგდო ბურთი და ახლა გადასცემს ან ჯონ ჰავლიჩეკს, ან სატჩ სანდერსს, რომლებიც მეტოქის ფარისკენ კოსმოსური სისწრაფით მიქრიან (ეს ორი კალათბურთელი გუნდში „პაწიებად“ ჰყავთ მიჩნეული). მათს უკან ხვნეშა-ხვნეშით გარბის ბოსტონელთა „მძიმე არტილერია“ — ცენტრის მოთამაშე ბეილი ჰოველი. პროფესიულ ლიგაში საუკეთესო გუნდმა „ბოსტონ სელტიკსმა“ სწრაფი გარღვევა შეასრულა.

სპეციალისტებისა და თვით მოთამაშეთა აზრით, დაცვაში რასელი ფანტასტიკურად თამაშობს. ენით აუწერელია მისი ყოველი ნახტომი, თითქოს ფრინველმა კამარა შეკრაო. სახელგანთქმული კალათბურთელი ზოგჯერ შეუდარებელ აკრობატად იქცევა, მიზიდულობის ყოველგვარ კანონებს უარყოფს და ისე იოლად სწყდება მიწას, ისე დაეკიდება ჰაერში, თითქოს ზემოთ ვიღაცას უჭირავსო. კალათბურთის ცნობილმა სპეციალისტმა ჯეკ ზანგერმა ერთხელ დაწერა, რასელის ნახტომები თანამედროვეობის უდიდეს მოცეკვავეს ნიჟინსკისაც კი აღტაცებას მოჰგვრიდაო.

პროფესიულ ლიგაში გამოსვლის პირველივე დღიდან 12 წლის განმავლობაში რასელი ხვეწს თავის ტექნიკას და თითქოს ყველაზე შეუძლებელ რამესაც კი საკალათბურთო მოედანზე ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას, თავისთვის ჩვეულებრივ ამბად აქცევს. სტუდენტობის წლებში რასელი სანფრანცისკოს უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი წარმატებაც მოაპოვებინა მას — ზედიზედ 59 გამარჯვება და ქვეყნის ორგზის ჩემპიონობა. სწორედ ამ პერიოდში მიიქცია მან კალათბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწვრთნელის ჰენკ აიბის ყურადღება. ამ უკანასკნელს დავალებული ჰქონდა ეროვნული ნაკრები მოემზადებინა 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშებისთვის. რასელი ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდა. იგი ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს და დიდებული თამაშით უზარმაზარი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების გამარჯვებაში. პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ რასელმა თორმეტ ჩემპიონატში ითამაშა და თორმეტივე წელი — მძიმე, გამარჯვებათა სიხარულითა და მარცხის სიმწარით აღსავსე, დამქანცველი წლები — მხოლოდ ერთ გუნდს — „ბოსტონ სელტიკსს“ ეკუთვნოდა. უნდა ითქვას, რომ პროფესიული კალათბურთის მთელი ისტორიის მანძილზე არც ერთ მოთამაშეს არ განუცდია ამდენჯერ გამარჯვების სიხარული. გუნდმა რვაჯერ დაიკავა I ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში. რასელს გაცილებით მეტი დრო აქვს გატარებული მოედანზე, ვიდრე პროფესიული გუნდების სხვა რომელიმე მოთამაშეს. მას ეკუთვნის ფარქვეშ ბურთის წართმევისა და აღების რეკორდი — 20 ათასზე მეტი. ასეთი რეკორდის დასამყარებლად ფოლადის ზამბარასავით მოქნილი ფეხები უნდა გქონდეს. მაგრამ რასელს უკვე დიდი ხანია მუხლის სახსრების ართრიტი ტანჯავს. ხუმრობით თვითონაც უყვარს თქმა: ჩემს ფეხებს უკვე დიდი ხანია 200 წელი შეუსრულდათ, მაგრამ მაინც დამატარებენო.

თამაშის დაწყებისთანავე რასელს ყველაფერი ავიწყდება. ერთ-ერთ ბოლო ჩემპიონატში მან დაამყარა რეკორდი, რომელიც საეჭვოა ვინმემ გადალახოს: 19 მატჩში 434-ჯერ წაართვა მეტოქეს კალათისკენ გაგზავნილი ბურთი და მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ 434-ჯერ ამუშავდა ბოსტონელთა მრისხანე იარაღი, სპეციალისტებმა ხუმრობით „კატიუშა“ რომ შეარქვეს, — სწრაფი გარღვევა.

თავის დროზე კალათბურთს რომ არ გაეტაცნა, რასელი ალბათ გამოჩენილი მძლეოსანი დადგებოდა. ერთხელ, მაშინ უნივერსიტეტში სწავლობდა, მძლეოსნურ სტადიონზე შეიარა და, თუმცა სრულიად მოუმზადებელი იყო, 207 სმ-ზე გადებული თამასა გადალახა.

„რასელი შესანიშნავი სპორტსმენია, — ამბობს ბილის თანაგუნდელი და პარტნიორი ჯონ ჰავლიჩეკი. — მას თამამად შეეძლო ათჭიდში ჩემპიონი გამხდარიყო... აბა, დააკვირდით მოედანზე: კალათსაც იცავს ტყორცნისგან, ბურთსაც თავის დროზე ზუსტად ამუშავებს და პარტნიორს გადასცემს. როგორც კი მეტოქის ფარქვეშ არეულობა ატყდება, რასელიც მყისვე იქაა. თუ პარტნიორს ხელი მოეცარა, ბილი იქვე არ არის? იგი, შეიძლება ითქვას, ყველაზე სწრაფია ჩვენს შორის“.

რასელი ისეთი ანგარიშით ჭრის მეტოქის ტყორცნას თავის ფართან, რომ ბურთი ზუსტად მის პარტნიორს ჩაუვარდეს ხელში. რასელის თამაში დაცვაში, როგორც ზევით ითქვა, საოცარია. საინტერესოა თავად ბილის ნათქვამი ამის თაობაზე: „აქ ბევრი რამ ინსტინქტზეა დამოკიდებული და დაფუძნებული. აი, ახლა მეტოქე ტყორცნის და მე ხელი უნდა შევუშალო, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ გავაანალიზო ჩემი რეაქცია ცნობილ სიტუაციაში და ამგვარად ვისწავლო საკუთარი მოძრაობის მართვა. ესაა თამაში არა ინსტინქტით, არამედ შეგნებულად. რასაკვირველია, არსებობს ათასი სხვადასხვა ხრიკიც. მაგალითად, როცა ანგარიშში არც ისე დიდი სხვაობაა, თამაშის დამთავრებამდე კი ორი წუთი რჩება, მეტოქე უთუოდ ეცდება თავისი საყვარელი ხერხი გამოიყენოს. მე კი იმ ხერხს ძალიან კარგად ვიცნობ. ამასთან, გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ბედიც გარკვეულ როლს თამაშობს“.

პროფესიული კალათბურთის კანონით, რასელი უკვე ბებერია. იგი 1934 წლის 12 თებერვალსაა დაბადებული. ხმელ-ხმელია, საკმაოდ მაღალი — 206 სმ. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მეტოქის ცენტრის მოთამაშეებზე დაბალიც აღმოჩნდება ხოლმე. მისი სახელგანთქმული მეტოქე უილტ ჩემბერლენი რასელზე მთელი 10 სანტიმეტრით მეტია. ორივე ახოვანია, ორივე ზანგი, ორივე ბრწყინვალე სპორტსმენი. მაგრამ მსგავსება ამით ამოიწურება. ჩემბერლენი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა კალათბურთის ისტორიაში, რასელი — დაცვის შეუდარებელი ოსტატი. მათს ირგვლივ დიდი კამათია გაჩაღებული, სურთ დაადგინონ: მაინც რომელია უფრო ძლიერი. რასელმა ერთხელ პირდაპირ განაცხადა: „მე კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო მოთამაშე ვიყავი“.

რასელი ძალიან ბევრსა და შეუპოვრად ვარჯიშობს. იგი ყოველდღიურად ხვეწს და სრულყოფს ყოველ წვრილმან ელემენტსაც კი. შეხვედრები და საწვრთნელი ვარჯიში ქანცს აცლის სპორტსმენებს. კალათბურთელები ხანმოკლე არდადეგების მანძილზე ცდილობენ ოჯახთან ერთად განმარტოვდნენ, დაისვენონ, მაგრამ მუდამ როდი ახერხებენ ამას — იმდენად პოპულარული არიან, რომ თაყვანისმცემელთა არმიის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამენ. „გულშემატკივარს არა აქვს უფლება შემაწუხოს, როცა განმარტოებას მოვისურვებ. არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს, როცა რესტორანში ოჯახთან ერთად ვსადილობ და უცებ ვინმე უცნობი გამომეცხადება, ათასგვარ ქათინაურებს მეუბნება, ავტოგრაფს მთხოვს. საერთოდ არ მესმის, რა დიდი საგანძურია ქაღალდის ნაგლეჯზე წაჯღაბნილი გვარი“.

ამ ორი წლის წინ რასელს კალათბურთის მიტოვება სურდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის მოთამაშე-მწვრთნელად მიიწვია. რაც შეეხება მოღვაწეობის ამ სფეროს, ჯერ დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ის კი უნდა ითქვას, რომ დასაწყისი ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. მწვრთნელად მუშაობის პირველ წელიწადს რასელმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა: მისმა გუნდმა 60 მატჩი მოიგო და 21 წააგო. გაიმარჯვა „ლეიკერსმა“ ჩემბერლენის მეთაურობით, მაგრამ ვალში არც რასელი დარჩა. შემდეგ სეზონში „სელტიკსმა“ ჩემპიონის გვირგვინი დაისაკუთრა. „როგორც მწვრთნელი, რასელი ძალიან სიტყვაძუნწია, — ამბობს „სელტიკსის“ მოთამაშე ლერი ზიგფრიდი. — პირდაპირი კაცია და რასაც ფიქრობს, იმას ამბობს. ეს კი ძალიან მოქმედებს ბიჭებზე“. „პირველ სეზონში გაუჭირდა, — იგონებს ჰავლიჩეკი, — ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებოდა. მაგრამ ბილმა გაგვაფრთხილა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას თავად გამოიტანდა. ეს სწორი გზა გამოდგა. ისიც გვთხოვა, როცა დავიმსახურებ, გამაკრიტიკეთო“.

„რასაკვირველია, დიდი უპირატესობაა, თუ მწვრთნელი ამავე დროს მოთამაშეც არის, — აღნიშნავს ბეილი ჰოველი. — იგი თავისი მაგალითით აღაფრთოვანებს გუნდს. სკამზე ჩამომჯდარ მწვრთნელს ყვირილისა და მოთამაშეთა შეცვლის მეტი არაფერი შეუძლია. რასელი სულ სხვაა. თუ საქმე ცუდადაა, იგი ყველაფერს თავის თავზე იღებს, ბურთსაც თვითონ ჩაჭრის და კალათსაც დაიცავს. მოედანზე თავისი მოქმედებით იგი მთელს გუნდს აიძულებს მთელი ძალით თამაშს“.

როცა პირველად ნახა რასელის თამაში უნივერსიტეტის გუნდში, „სელტიკსის“ ყოფილი მწვრთნელი არნოლდ (რედ) აუერბახი სასოწარკვეთილი დარჩა. „არაფრად არ ვარგოდა, აუტანელი იყო. მისი პირველი გამოსვლა პროფესიონალთა სარბიელზე გულშემატკივართა ყოველგვარ იმედს აქარწყლებდა. ნიუ-იორკის „ნიკერბოკერსთან“ მატჩში ამ გუნდის ცენტრის მოთამაშემ ჰარი გალათინმა რასელს ყოველმხრივ აჯობა. მეორე შეხვედრაში გადავწყვიტე იგი თავდამსხმელად დამეყენებინა, გალათინის მეურვეობა კი არნი რაიზანისთვის დამევალებინა. მაგრამ რასელმა მთხოვა, გალათინის წინააღმდეგ მათამაშეთო. მე დავთანხმდი. იცოცხლე, ასწავლა ჭკუა. გალათინმა ერთხელ თუ ორჯერ ტყორცნა, ეს იყო და ეს. ბილმა პირდაპირ ტყავი გააძრო“.

ეს იყო პროფესიონალი რასელის ერთ-ერთი პირველი მატჩი. მას შემდეგ 12 წელი გავიდა. რასელმა კალათბურთში ყველაფერს მიაღწია, რაზეც კი სპორტსმენს ოცნება შეუძლია. „ჩემი ცხოვრების ყველა სიხარული კალათბურთმა მომანიჭა. აი, რას ვურჩევ ახალგაზრდა მოთამაშეებს: მუდამ და ყველგან ითამაშონ მთელი ძალით. მთელი ცხოვრების მანძილზე მთელის არსებით ვემსახურებოდი, რა საქმეც უნდა ამერჩია. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია“.

ასეთია ბილ რასელი, ასე თამაშობს და ასე წვრთნის სხვებსაც.

თ. ჯაფარიძე.

# ულიდეროდ — III ადგილზე

ამას წინათ კოსმონავტთა ქალაქში გაიმართა მეორე საკავშირო ტურნირი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე მარათონსა და სპორტულ სიარულში.

მარათონში (25 კმ) 200, ხოლო 20 კმ-ზე სპორტულ სიარულში 65 სპორტსმენი მონაწილეობდა.

სპორტულ სიარულში ყველას აჯობა ივანოვოელმა ვ. ვავილოვმა („სპარტაკი“) — 1:31.49, ხოლო მარათონულ რბენაში გაიმარჯვა არმიელმა ა. დავიდოვმა — 1:17.49.

ტურნირი რამდენიმე ჯგუფად გაიმართა. პირველ ჯგუფში სპორტსაზოგადოებების, უწყებებისა და რესპუბლიკების კოლექტივები გამოდიოდნენ. სპორტულ სიარულში პირველობა საბჭოთა არმიის ნაკრებს დარჩა. II ადგილზეა „სპარტაკი“, III — საქართველოს კოლექტივი (ვ. პეტროვი, ა. ბერიძე, ო. გულიევი, ი. პუტილცევი. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი, ჩვენი გუნდის ლიდერი ი. დელა-როსა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა).

# მასპინძლები ყველას სჯობდნენ

ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში ორ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების ნაკრები გუნდები.

5 კილომეტრზე რბენაში ქალთა შორის გაიმარჯვა ხულოელმა ჟ. ჯიმშერიძემ — 21.46. მან პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. 15 კილომეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაში საზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვა შუახევის რაიონის ოლადაურის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ დ. მაკარაძემ — 54.53.

2 კილომეტრზე რბენაში გოგონათაგან ფინიშთან პირველი მიიჭრა ე. საგინაძე (ხულო), ხოლო 3 კილომეტრზე მორბენალ ჭაბუკებში ყველას აჯობა შუახეველმა ლ. მაკარაძემ.

3×5 კილომეტრზე ესტაფეტაში I ადგილი დაიკავა ხულოს რაიონის ქალთა გუნდმა. 4×10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში ტოლი არ ჰყავდა ხულოს ნაკრებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ხულოს ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ შუახევისა და ქედის რაიონების მოთხილამურეები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ხულო.

**თხილამურები**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში




# რევანში სპარტაკიადაში წაგებისთვის

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საცურაო აუზი. 31 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 4:3 (1:1, 1:1, 0:0, 2:1).

თბილისი: გულედანი, კურტანიძე, სანაძე, ისელიძე, არუთინოვი, იოსელიანი, უშანგიშვილი. მატჩში მონაწილეობდა ერაძეც.

კიევი: დანკო, ბორუკოვსკი, კაპიტონენკო, ბონდარენკო, ზარკალოვი, კოვალენკო, სილანტიევი.

მსაჯი ნ. ხაცუკევიჩი (მინსკი).

უკრაინისა და საქართველოს წყალბურთელთა უძლიერესი გუნდების ორთაბრძოლა მუდამ საინტერესო და დაძაბულია. გავიხსენოთ თუნდაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ამ ორი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩი (კოლექტივები უმთავრესად კიევისა და თბილისის „დინამოს" მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული). მაშინ, ტრადიციულად მწვავე ბრძოლაში, უკრაინელებმა ერთი ბურთით ძლიეს შეხვედრა — 6.5.

კიევისა და თბილისის დინამოელთა გუშინწინდელი ორთაბრძოლაც თავიდან ბოლომდე მეტად საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მსაჯის სასტარტო ნიშნის შემდეგ აუზის ცენტრში მდებარე ბურთს პირველად თბილისელები დაეუფლნენ. მერე ბურთი თითქოს მეტოქის კარში უნდა გასულიყო, მაგრამ უშანგიშვილმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის რეალური შანსი. ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯმა ეხეში თამაშისთვის აუზიდან გააძევა კურტანიძე. ამით კარგად ისარგებლეს სტუმრებმა და ბონდარენკომ ანგარიში გახსნა. მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ იოსელიანმა წონასწორობა აღადგინა.

თბილისელებს უმალვე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა — სანაძემ კიეველთა კარის ძელს მოახვედრა ბურთი.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე კურტანიძემ მეტოქის კარის აღების ნაღდი შანსი დაკარგა, მერე კი ისელიძემ ახლოდან ააცილა კარს.

მეტოქეებმა თითო ბურთი მაინც გაიტანეს: ჯერ ისელიძემ 4-მეტრიანი საჯარიმოს ტყორცნით დააწინაურა თავისი გუნდი, მერე კი ასეთივე საჯარიმო კარგად გამოიყენა კიეველმა ბორუკოვსკიმ — 2:2.

მთავარი ამბები ბოლო პერიოდში მოხდა. ჯერ იყო და ისელიძე—სანაძის ორსვლიანი კომბინაცია კიეველთა კარის აღებით დამთავრდა, შემდეგ მსგავსი კომბინაცია უშანგიშვილმა და კურტანიძემ განახორციელეს და თბილისელები დაწინაურდნენ — 4:2.

ორბურთიანი სხვაობა გამარჯვებისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ მატჩის ბოლომდე წუთი იყო დარჩენილი. და აი, ამ ერთ წუთში ჩვენმა დინამოელებმა ოფლით მონაპოვარი კინაღამ წყალში ჩაყარეს. ჯერ იყო და ბორუკოვსკის საშუალება მისცეს ანგარიში მინიმუმამდე შეემცირებინა, ბოლო წამებზე კი გულედანის ოსტატური თამაში რომ არა, ანგარიში გათანაბრდებოდა.

თბილისის „დინამოს" თამაშში, რასაკვირველია, საკმაოდ ბევრი შეცდომა იყო, მაგრამ საერთოდ გუნდი დიდი მონდომებით მოქმედებდა: ამჯერად უფრო შეიმჩნეოდა გამარჯვებისკენ სწრაფვა. ორი მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს გუნდს უკეთესად თამაშის უნარი შესწევს. ასე რომ, საქართველოს საუკეთესო გუნდს, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობა ახალგაზრდობაა, მომავალში წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ წყალბურთის ადგილობრივი და ჩამოსული სპეციალისტები.

• • •

როცა საასპარეზოდ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალოსნო სპორტკლუბისა და ლენინგრადის „ბალტიკის" გუნდები გამოვიდნენ, ყველა მოსკოველთა იოლ გამარჯვებას მოელოდა. ეს ნაწილობრივ გამართლდა: სამი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 6:1 მოსკოველთა სასარგებლოდ. ეს ერთადერთი ბურთი „ბალტიკამ" 4-მეტრიანი საჯარიმოს წყალობით გაიტანა.

მაგრამ აი, ბოლო პერიოდში მეზღვაურებმა ტემპს უკლეს, ყურადღებაც მოადუნეს და... სამი უპასუხო გოლი მიიღეს. მეტის გასაკეთებლად ლენინგრადელებს დრო არ ეყოთ: გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 6:4.

ზ. ჯანდიერი.

• • •

კუთხეებზე: თბილისისა და კიევის დინამოელთა შეხვედრის დაძაბულობაზე მარცხენა ფოტოც მეტყველებს. იოსელიანის ზუსტად ნატყორცნ ბურთს გულისტკივილით განიცდის კიეველთა მწვრთნელი მ. ავდეევი. მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია სახიფათო მომენტი კიევის „დინამოს" კართან. ბურთით ხელში — თ. უშანგიშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

### 10 საუკეთესო

წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა ათი საუკეთესო მსაჯის სია შარშანდელი სეზონის მიხედვით. აი, ეს ათეული: 1. ზ. ჩაჩავა (თბილისი), 2. ე. ლებედევი, 3. ვ. რამშაჯანი, 4. ნ. პროსტიაკოვი (სამივე — მოსკოვი), 5. ვ. ჩერნოვი (ალმა-ათა), 6. ვ. ვეშელინი (მუკაჩოვო), 7. დ. პოპოვი, 8. ნ. მალცევი (ორივე — მოსკოვი), 9. ა. ტიხონოვი (ლენინგრადი), 10. ე. სემიონოვი (მოსკოვი).

# მუჰამედ ალი — მაკ ფოსტერი

ამ მატჩის ირგვლივ დიდი ხმაური ატყდა. მის სპორტულ ღირებულებას სპეციალისტები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ალის ნიჭის თაყვანისმცემლები დარწმუნებული არიან, რომ მსოფლიოს პროფესიონალ მოკრივეთა ექს-ჩემპიონი უახლოეს მომავალში დაიბრუნებს დაკარგულ ტიტულს და ფოსტერთან მის მატჩს განიხილავენ, როგორც მთავარი სამზადისის ერთ მნიშვნელოვან რგოლს. ალიმ თითქმის მთელი წელიწადი მოანდომა საწვრთნელ მატჩებს ჯერ შინ, შერე კი ევროპაში.

ფრეზიერთან წაგების შემდეგ ალის ფსიქიკა საფუძვლიანად შეიცვალა. ტრაბახობამ ადგილი დაუთმო ნამდვილი მებრძოლისთვის დამახასიათებელ თავდაჭერილობას და სიჩუმეს. ექს-ჩემპიონი დარწმუნდა, რომ მუქარითა და ტრაბახით ფონს ვერ გავიდოდა — მან რეალურად შეხედა თვალებში მომავალს, სწორად აწონ-დაწონა თავისი და ფრეზიერის შესაძლებლობანი და მიხვდა, რომ რევანშის ასაღებად საჭირო იყო პრაქტიკული ზომების მიღება.

თავდაპირველად ალიმ დაიკლო ის ზედმეტი კილოგრამები, რომლებმაც მას სისწრაფე დაუკარგა. ბევრი შრომა დასჭირდა დარტყმის სიძლიერის აღდგენასაც და, რაც ყველაზე მთავარია, გამძლეობის გამომუშავებას. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა წარმატებით გადალახა ყველა სიძნელე და მწვრთნელის აღიარებით თავის უწინდელ ფორმას მიუახლოვდა.

რატომ აირჩია ალიმ სპარინგ-პარტნიორად ამერიკელი ფოსტერი, ძნელი გასაგებია. პროფესიული რინგის ვარსკვლავთა შორის ფოსტერს ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია, თუმცა უკანასკნელი ბრძოლები ლამაზად და დამაჯერებლად მოიგო. ზოგიერთი ჟურნალისტი ამ არჩევანს უფრო მეტად ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ჟურნალისტები ასე ფიქრობენ: ალიმ დაიბრუნა თავისი სპორტული ფორმა — ეს ყველასთვის ცხადია. ახლა თვით სპორტსმენმა უნდა ირწმუნოს თავისი ძალა და ბოლოს და ბოლოს დააღწიოს თავი ფრეზიერთან წაგებით გამოწვეულ კომპლექსს. ალის ესაჭიროება შთამბეჭდავი გამარჯვება, ამ მხრივ კი ფოსტერი იდეალური მეტოქეა.

მაგრამ ასე როდი ფიქრობენ ალის მოწინააღმდეგენი. ისინი წამდაუწუმ ახსენებენ ექს-ჩემპიონს, რომ ფოსტერმა პროფესიულ რინგზე 30 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ისიც თავისი კარიერის გარიჟრაჟზე. ამ განცხადების მიზანი ცხადია: წონასწორობიდან გამოიყვანოს ალი და შეძლებისდაგვარად შეარყიოს მისი რწმენა.

მუჰამედ ალისა და მაკ ფოსტერის მატჩი გუშინ გაიმართა ტოკიოში (მისი შედეგი ჯერ არ მოგვსვლია). მეტოქეებმა იაპონიის დედაქალაქში სამზადისს ერთი კვირა მოანდომეს. ისინი ყოველდღე ვარჯიშობდნენ სპარინგ-პარტნიორებთან და დაუბრკოლებლად იღებდნენ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს. მატჩისადმი ინტერესი ტოკიოში იმდენად გაიზარდა, რომ ტელევიზიამ დამატებითი არხებიც კი გამოჰყო ბრძოლის რეპორტაჟისთვის. მატჩის ტელეტრანსლაცია წარმოებდა აზიისა და ამერიკის ზღვრ ქვეყანაში, აქედან — ევროპაშიც.

ბრძოლის ფორმულა ძველებური დარჩა — 15 რაუნდი. რინგის არბიტრი იაპონიის დედაქალაქში სპეციალურად ჩაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მსაჯობა დავალებული ჰქონდათ ნეიტრალურ იაპონელ სპეციალისტებს. საარბიტრაჟო კომისიაში შეყვანილი იყვნენ პროფესიული კრივის ცნობილი სპეციალისტები. ერთი სიტყვით, შესრულდა ყველა ფორმალური პროცედურა.

გუშინდლამდე ალიმ 35 მატჩი ჩაატარა პროფესიულ რინგზე. წინამდებარე ბრძოლებიდან მან ყველა მოიგო ერთის გარდა — დამარცხდა ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონთან, ამერიკელ ჯო ფრეზიერთან.

ნ. ახვლედიანი.

## ჯანა მაშკოვა ავტოკატასტროფაში დაიღუპა

პრაღა, 1 აპრილი. საფრანგეთის ამ ქალაქის მახლობლად გუშინ მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპა ფიგურული ციგურაობის შესანიშნავი ოსტატი, ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონი, გრენობლის ზამთრის X ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ჰანა მაშკოვა.

ავტომობილი, რომელსაც მაშკოვა მართავდა, სატვირთო მანქანას დაეჯახა.

## ექსტრემი — ევროპის ჩემპიონი

დამთავრდა ევროპის პირველობის ფინალი ჭადრაკის მიწერ-მოწერით თამაშში, რომელშიც 15 ოსტატი მონაწილეობდა.

11 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა 65 წლის ვეტერანმა ე. ექსტრემმა (შვეცია). იგი „ჩვეულებრივ" ჭადრაკსაც ჭკვიანად თამაშობს, ორჯერ იყო შვეციის ჩემპიონი, ხოლო 1946 წელს ჰასტინგსის საახალწლო ფესტივალში II ადგილზე გავიდა დიდოსტატ ს. ტარტაკოვერის შემდეგ, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ეივეზე წინ.

II ადგილი დაიკავა ი. ზიმმ (ბელგია), რომელიც გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა. ფინალში ორი საბჭოთა ოსტატი თამაშობდა. სოკოლოვმა III-V ადგილები გაიყო, ხოლო ი. ნეისტადტმა — VII-VIII.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში 4-6 აპრილს ტარდება საკავშირო სიმპოზიუმი უმაღლეს სასწავლებლებში დაპროგრამირებული სწავლების შესახებ.

სხდომების დასაწყისი 10 და 16 საათზე.

ინსტიტუტის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)






„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

3 აპრილს

სათადარიგო შემადგენლობანი

4 აპრილს

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს.

• • •

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: აბონემენტებზე — 2 აპრილს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში; ერთჯერადი გაყიდვა — 3 აპრილს დილის 10 საათიდან.




## ეს პირველი წარმატება როდია

ნაირობის სტადიონზე კენიის ნაკრები შეხვდა დანიის ჩემპიონს „ოკ კიოლეს". მატჩი აგრიკელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:1. დანიელებმა ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა თავდამსხმელს ნივას, რომელმაც სტუმართა კარში სამი ბურთი გაიტანა.

ეს კენიის ნაკრების პირველი წარმატება როდია. დანიელებთან მატჩამდე რამდენიმე დღის წინ იგი შეხვდა შვეიცარიის მრავალგზის ჩემპიონს „გრასჰოპერსს" და ფრედ დაამთავრა მატჩი (1:1), ამასთან, ბურთი კენიელთა მხრივ იმავე ნივამ გაიტანა.

• •

## ტოსტაოს 5 ბურთი

ცნობილი ბრაზილიური კლუბი „კრუზეირო" გასტროლებს განაგრძობს აზიის ქვეყნებში. ბანგკოკში „კრუზეიროს" მეტოქე იყო დანიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ბოლდკლუბენი" (კოპენჰაგენი). ბრაზილიელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:0. ხუთივე ბურთი გაიტანა ტოსტაომ.